

# საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლებისთვის დამატებით შვიდი საარჩევნო უბანი შეიქმნა



ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით 26 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებისთვის საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლებისთვის დამატებით შვიდი საარჩევნო უბანი შეიქმნა,— ინფორმაციას ცესკო ავრცელებს.

მათივე ცნობით, შესაბამისი განკარგულება ცესკომ დღეს გამართულ სხდომაზე ერთხმად მიიღო.

„დამატებით საარჩევნო უბნების შექმნის საფუძველი საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების შესახებ განახლებული მონაცემები გახდა, რომელიც ცესკომ საგარეო საქმეთა სამინისტროდან და სხვა შესაბამისი უწყებებიდან მიიღო და

▶▶▶ გვ–2


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 16 (104781) 14 ოქტომბერი, 2024 წ. ფასი 1 ლარი.


# რობინ დანიგანი – ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ



„უნდა ვთქვა, რომ ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ. ცესკოს თავმჯდომარე და ცესკოს გუნდი, რომლებთანაც ჩვენ ძალიან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ, მხარს ვუჭერთ მათ მუშაობას, თავისი საქმის ერთგულები და პროფესიონალები არიან“, — განაცხადა აშ-შ-ის ელჩმა საქართველოში, **რობინ დანიგანმა.**

როგორც ელჩმა აღნიშნა, ცესკოს გუნდი მზად არის არჩევნების თავისუფლად და სამა-რთლიანად ჩატარებას ხელი შეუწყოს. მისივე თქმით, იწონებს მთავრობის მიერ როგორც გრძელვ-ადიანი, ისე მოკლევადიანი დამკვირვებლების მიღებას. „ჩემი აზრით, ცესკოს წარმომადგენლები] მზად არიან, ხელი შეუწყონ არჩევნების თავისუფლად და სამართლიანად ჩატარების უზ-რუნველყოფას, რათა ხალხმა იც-ოდეს, რომ კენჭისყრა ფარულია და ხმის მისაცემად მივიდეს.

ასევე, მე ვუწონებ მთავრობას გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლების მიღებას, მათ მიიღეს ეუთო/ოდირის გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია, **IRI**-ის და **NDI**-ის გრძელვადიანი მისიები, ორი ორგანიზაციისა, რომლებსაც ჩვენ ვუჭერთ მხარს, მათ მიიღეს ასევე სხვა გრძელვადიანი დამკვირვებლები, მათ აკრედიტაცია მისცეს ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებსაც ეყოლებათ ადგილობრივი დამკვირვებლები. ასე რომ, მთავრობამ აიღო ამისი ვალდებულება და ის შეასრულეს. ასე რომ, ჩვენ შვებით ამოვისუნთქეთ, როცა ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილება უკან იქნა გაწვეული და რომ მიიღეს გადაწყვეტილება, არ ამტკიცონ, რომ კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაცია საარჩევნო პროცესებში იყო ჩართული, ეს გადაწყვეტილება საშუალებას მისცემს ამ კონკრეტულ არასამთავრობო ორგანიზაციას, დააკვირდეს არჩევნებს. ასე რომ, მე, ჩვენ დავინახეთ პოზიტიური ნაბიჯები მთავრობისგან, ცესკოსგან და სამოქალაქო საზოგადოებისგან და ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნიშანია,“ — განაცხადა **რობინ დანიგანმა.**

# აქცია „ბოლო შანსი“, ორბი ჯგუფის ახალ პროექტში! პირველი 80 აპარტამენტი, მხოლოდ $19 500-ად უკვე აშენებულ Comfort by Orbi-ში !




მორიგი უპრეცენდენტო შეთავაზება ორბი ჯგუფისგან მომხმარებელს, რომელიც ბათუმის ყველაზე პრესტიჟულ ტურისტულ უბანში მშენებარე პროექტს შეეხება. კომპანიამ დაიწყო გაყიდვები, უკვე აშენებულ პროექტ **Comfort by Orbi** -ში, რომელიც გმირთა ხეივანში მდებარეობს. შეთავაზების უნიკალურობა, პროექტის არქიტექტურული ღირებულებისა და ადგილმდებარეობის გარდა, იმაში მდგომარეობს, რომ პირველი 80 აპარტამენტის შეძენა მსურველებს, მხოლოდ 19 500 დოლარად შეეძლებათ. ეს არის შანსი, რომელიც ქართულ და საერთაშორისო ბაზარზე, დღეის მონაცემებით უპრეცენდენტოა.

უფრო მეტ დეტალს, პროექტ **Comfort by Orbi** –ზე, ორბი ჯგუფის გენერალური დირექტორი, **ირაკლი კვერღელიძე** გვიზიარებს.

**—კიდევ ერთი ახალი პროექტი ბათუმში და კიდევ ერთი უნიკალური აქცია გაყიდვების სტარტზე „ორბი ჯგუფისგან“. კომფორტ „ბაი ორბი“, რომელიც ბათუმის გულში, ტურისტულ ცენტრში გმირთა ხეივა-ნში შენდება, ზღვიდან სულ რაღაც 200 მეტრში. რა ეტაპზეა მშენებლობა?**

— პროექტ **Comfort by Orbi**-ს მონოლიითური კარკასის მშენებლობა, უკვე დასრულებულია. შესაბამისად, უკვე დაწყებულია ფასადის მოპირკეთება და საინჟინრო სამუშაოები. ეს არ არის ჩვეულებრივი მოვლენა დეველოპმენტში, რადგან პრაქტიკულად არ არსებობს პროექტები, ძალიან იშვიათობაა, რომ დეველოპერი ჯერ აშენებდეს და მერე ყიდდეს აპარტამენტებს.

საინტერესოა პროექტის ლოკაცია, რომელიც გმირთა ხეივანში მდებარეობს და ყველამ კარგად ვიცით, რომ უნიკალური ადგილია. ეს არის 200 მეტრი ზღვიდან და ყველაზე აქტიური, ცენტრალური ტურისტული უბანი.

ძალიან მნიშვნელოვანი, ყველაზე მნიშვნელოვანი თუ არა, გახლავთ ის, რომ **Comfort by Orbi**-ის პრაქტუკულად ყველა აპარტამენტიდან იშლება ულამაზესი ხედები ზღვაზე, გურია-აჭარის და კავკასიონის მთებზე, გმირთა ხეივანზე.

**— რაც შეეხება თავად**

▶▶▶ გვ–3

# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 200-200 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 80 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 3,20 ლარი,**
**სამი თვით – 9,60 ლარი,**
**6 თვით –16 ლარი,**
**ერთი წლით – 32 ლარი.**

***გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.***

***ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.***

***რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.***

***რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.***

***გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.***


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*

**ნუგზარ ასათიანი**

**nugzarasatiani15@gmail.com**

**558 499100**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*

**გიორგი გოგოლაძე**

**gia_77@mail.ru**

**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


**დაიწყეთ ყოველი რიშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

# საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლებისთვის დამატებით შვიდი საარჩევნო უბანი შეიქმნა

*დაამუშავა. ამ დროისთვის საზღვარგარეთ ხმის მიცემის უფლების მქონე ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენს 95 834-ს. ამომრჩეველთა გაზრდილი რაოდენობის შესაბამისად საარჩევნო უბნები დამატებით შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში – **ნიუ-იორკში;** გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში – **ბერლინში;** ესპანეთის სამეფოში – **ბარსელონაში;** იტალიის რესპუბლიკაში – **რომში;** საბერძნეთის რესპუბლიკაში – **ათენსა** და **სალონიკში;** საფრანგეთის რესპუბლიკაში – **პარიზში.***

*საერთო ჯამში ამომრჩევლებს საზღვარგარეთ, 42 ქვეყანაში 67 საარჩევნო უბანი მოემსახურება.*

*შეგახსენებთ, რომ კანონმდებლობის თანახმად, საზღვარგარეთ საარჩევნო უბანი იქმნება საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი არანაკლებ 50 და არაუმეტეს 3 000 ამომრჩევლისთვის. სხვა რეგულაციებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით არ ითვალისწინებს“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.*

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლაში სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს



საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი **ალექსანდრე წულაძე,** გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულთან **გიორგი ურუშაძესთან,** საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერ **არჩილ თალაკვაძესთან,** გურიის მაჟორიტარ დეპუტატთან **ვასილ ჩიგოგიძესთან,** ოზურგეთის მერ **ავთანდილ თალაკვაძესთან** და საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიასთან** ერთად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

შენობა, რომელიც 240 მოსწავლეზეა გათვლილი, სრულად განახლდება და ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.

სკოლაში იფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, სპორტული და სააქტო დარბაზები, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა და სასადილო. სკოლის სრულ რეაბილიტაციას სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს და მისი ღირებულება 5 მილიონ ლარზე მეტია.

# ოზურგეთში მანდატურის სამსახურის ახალი რეგიონული ოფისი გაიხსნა



საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **ალექსანდრე წულაძემ,** გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულთან **გიორგი ურუშაძესთან,** გურიის მაჟორიტარ დეპუტატთან **ვასილ ჩიგოგიძესთან,** ოზურგეთის მერთან **ავთანდილ თალაკვაძესთან** და საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიასთან** ერთად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ახალი რეგიონული ოფისი გახსნა.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ახალ შენობაში მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრთან ერთად, დაგეგმარებისა და ანალიზის რეგიონული სამმართველო განთავსდა. მოეწყო ბავშვთა თერაპიის ოთახები, რომლებიც სრულად ადაპტირებული და მორგებულია მათ საჭიროებებზე.

# სასამართლომ ჩოხატაურის მერის წარმომადგენელი დაბა ჩოხატაურში რევაზ ბერძენიშვილი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო

**ალიონი.** ოზურგეთის სასამართლომ დაბა ჩოხატაურის მერის წარმომადგენელი დაბა ჩოხატაურში **რევაზ ბერძენიშვილი** ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო.





7 ოქტომბერს დასრულდა ოზურგეთში სასამართლო პროცესი, სადაც „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შეტანილი სარჩელი განიხილებოდა. პარტიის წარმომადგენლები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს **დავით შარაშიძეს** და მის წარმომადგენელს დაბა ჩოხატაურში **რევაზ ბერძენიშვილს** ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას და სამუშაო საათების დროს „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბში ყოფნას ედავებოდნენ.

დღევანდელ სხდომაზე მოსამართლემ მერის წარმომადგენელი დაბა ჩოხატაურში რევაზ ბერძენიშვილი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო, თუმცა სიტყვიერი გაფრთხილების მიცემით შემოიფარგლა. რაც შეეხება, დავით შარაშიძეს, მისი ბრალეულობა აღნიშნულ საქმეში მოსამართლემ არ დაადგინა.

აღსანიშნავია, რომ მოსარჩელეს მტკიცებულების სახით აღნიშნული თანამდებობის პირების საარჩევნო შტაბში ყოფნის ამსახველი ვიდეო-მასალა ჰქონდა წარმოდგენილი.

# კურორტ ბახმაროს ცენტრში „მაგთის“ ანძა არ აღიმართება





**ალიონი**. რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მოსახლეობის გულისწყრომა კურორტ ბახმაროს ცენტრში „მაგთის“ ანძის მშენებლობასთან დაკავშირებით.

*–ჩვენი ბავშვობა ბახმაროში გავატარეთ. შესანიშნავი კურორტი გვქონდა და ყველა შეძლების ადამიანი ისვენებდა. ახლა აქ განუკითხაობაა. ვინ რას აშენებს, განსაკუთრებით საკ-ურორტო სეზონის შემდეგ, ვერ გაი-გებ. შიგ ბახმაროს ცენტრში, მოედ-ანზე, სადაც კარუსელები იდგა, კომპანია „მაგთი“ ანძის მშენებლობას იწ-ყებს. ბავშვებისათვის განკუთვნილი ატრაქციონი უკვე აიღეს და ანძის დასადგმელ ადგილს ექსკავატორი ამზადებს. მამა ელიზბართან ერთად მივედით ადგილზე, გავაპროტესტეთ. ჩვენი პროტესტი არად ჩააგდეს და მუშაობა გააგრძელეს. ასეთ ანძებს ხომ დიდი გამოსხივება აქვს. სხვა მშენებლობებს ვაპროტესტებდით და ახლა „მაგთი“ დაემატა.*

გაზეთის რედაქცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას დაუკავშირდა, თუმცა ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხეს. შემდეგ გაირკვა, რომ მათ არ ჰქონდათ გაცემული 45 მეტრი სიმაღლის „მაგთის“ ანძის დადაგმის ნებართვა.

მოქალაქეების პროტესტის შემდეგ ბახმაროში ანძის დადგმის სამუშაოები შეწყდა.

გაზეთი „ალიონი“ კურორტზე ავიდა და რამდენიმე ადამიანს შეხვდა.

**შოთა კალანდაძე,** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მოადგილე კურორტ ბახმაროში: – *არ მიუცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას „მაგთისთვის“ ნაბართვა კურორტის ცენტრში ანძა აღემართა. მათ დაწყებული სამუშაოები შეაჩერეს და ანძის დასადგმელი ორმო ტრაქტორით ამოავსეს. ალბათ კურორტს გარეთ გამოუნახავენ შესაფერის ადგილს –გვითხრა მან.*

კურორტის ცნობილ მოედანთან მდებარე უნივერმაღის ერთ-ერთ მეპატრონეს **იოსებ პაიჭაძეს** ვესაუბრეთ.

*–ბახმაროში გავიზარდეთ. მამაჩემი ზაქრო პაიჭაძე ყოველ სეზონზე ბახმაროს დროშით ხსნიდა დოღს. ეს ტრადიცია წლებია გრძელდებოდა. ტრაქტორის გამოჩენისთანავე ავტეხეთ განგაში და საბოლოოდ ხელისუფლების, დამსვენებლების ერთობლივი ძალისხმევით კურორტის ცენტრში ანძის დადაგმის სამუშაოები შეწყდა.*

როგორც სხვებმაც გვითხრეს, მოსახლეობა შიშობს, რომ საქართველოში ნერვიული სისტემის, გულ-სისხარღვთა და ონკოლოგიური დაავადებების მასობრივი მომრავლებაში თავისი „წილი“ შეაქვს დასახლებულ პუნქტებში, ან დასახლებულ პუნქტებთან ახლოს მობილური ტელეფონების ანძებს და ელექტრომაგნიტური გამოსხივების დასაშვებ ნორმაზე გადაჭარბებას.

# აქცია „ბოლო შანსი“, ორბი ჯგუფის ახალ პროექტში! პირველი 80 აპარტამენტი, მხოლოდ $19 500-ად უკვე აშენებულ Comfort by Orbi-ში !



**პროექტს და აპარტამენტების ღირებულებას, რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— პროექტ **Comfort by Orbi**-ში გათვალისწინებულია, 500 აპარტამენტის სარეალიზაციოდ გამოტანა და აქედან, მხოლოდ 80 აპარტამენტი გაიყიდება სააქციო ფასად. რას გულისხმობს აქცია? იმას, რომ ბედნიერ 80 მყიდველს შეეძლება აპარტამენტის შეძენა, სულ რაღაც 19 500 დოლარად. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ეს არის ბოლო შანსი ასეთ უნიკალურ ფასად და უნიკალურ ლოკაციაზე, მსურველმა შეიძინოს აპარტამენტი და გააკეთოს გონივრული ინვესტირება.

დაბეჯითებით ვიტყვი, რომ ამ აპ-არტამენტების რეალური ღირებულება, არა 19 500 დოლარია, არამედ, ორჯერ მეტი — 38 000 დოლარი და მეტი. რა არგუმენტი მაქვს ამის როცა ვამბობ - სულ ცოტა ხნის წინ დავაანონსეთ სააქციო ფასად, 18 500 დოლარად აპარტამენტების გაყიდვა პროექტ „ავანგარდი ბაი ორბიში“. პრაქტიკულად რამდენიმე დღეში დასრულდა სააქციო ფასში გამოტანილი აპარტამენტების გაყიდვა და ამჟამად, იგივე აპარტამენტების ღირებულება 36 500 დოლარზე მეტია. 18 500 დოლარად ვინც შეიძინა აპარტამენტი, ფაქტობრივად, ორ კვირაში,36 500-იანი აქტივის მფლობელი გახდა. ასეთივე შესაძლებლობა აქვს აპარტამენტის შეძენის მსურველს **Comfort by Orbi**-შიც. ის, ვინც სააქციო ფასად 19 500 დოლარად შეიძენს აპარტამენტს, რაც ვეჭვობ, სულ რამდენიმე დღე გაგრძელდება, აქციის დასრულებისთანავე მისი ღირებულება დაახლოებით 38 000 დოლარი იქნება.

პროექტ **Comfort by Orbi**-ში, აპარტამენტების ღირებულება 1 კვ.მე-ტრზე ასევე შადგენს 1 000,1 200,1 400 დოლარს, რაც მისი რეალური საბაზრო ღირებულებაა.

ისტორიულად, ინვესტირება უძრავ ქონებაში, ყველაზე გონივრული დაბანდებაა. სწორედ ამ საქმეში ეხმარება ორბი ჯგუფი მის ერთგულ მომხმარებელს.

**— ვიცით, რომ ძალიან ბევრი ადამიანია დაინტერესებული ქვეყნის გარეთ, ემიგრანტები, რომლებსაც სურთ აპარტამენტების შეძენა საქართველოში, რათა ჰქონდეთ სტაბილური შემოსავალი. როგორ შეუძლიათ მათ აპარტამენტების შეძენა, როდესაც ქვეყანაში არ იმყოფებიან?**

— ეს აბსოლუტურად არ წარმოადგენს ბარიერს, ჩვენს კომპანიაში უძრავი ქონების შეძენის მსურველისთვის. ყველა ამ ადამიანს შეუძლია, ორბი ჯგუფის ონლაინ სერვისით ისარგებლოს, რაც მას საშუალებას აძლევს, მიიღოს მაღალპროფესიონალურ დონეზე კონსულტაციები. შეარჩიოს სასურველი ფართის აპარტამენტი, იყიდოს, გააფორმოს ხელშეკრულება საქართველოში ჩამოუსვლელად. შესაბამისად, არანაირი აუცილებლობა არ არის, რომ ის იმყოფებოდეს საქართველოში. ყველა პროცედურის გავლა შესაძლებელია **Zoom-is, whatsapp-is, Viber**-ის და სხვა ნებისმიერი საკომუნიკაციო არხის საშუალებით.

**— ონლაინ სერვისით სარგებლობა,. მხოლოდ ემიგრანტ-ებს, ან ქვეყნის გარეთ მყოფ ადამიანებზე ვრცელდება?**

— რა თქმა უნდა, არა. დისტანციური მომსახურების მიღება შეუძლია, ნებისმიერ ადამიანს, საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან, ვინც ოფისში მისვლას ვერ ახერხებს გარკვეული მიზეზით. ეს არის მაღალტექნოლოგიური, დისტანციური სრულფასოვანი სერვისი.

**— აპარტამენტის შეძენის შემდეგ რა მიზნით შეუძლია უძრავი ქონების გამოყენება მყიდველს?**

— მყიდველი თვითონვე განს-აზღვრავს რა მიზნით გამოიყენოს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - საცხოვრებლად, გასაქირავებლად, თუ სხვა დანიშნულებით. ამიტომ ამ პროექტში ჩვენ გვაქვს, როგორც სტუდიოს ტიპის აპარტამენტი, ისე 30, 40, 50, 100 და 150 კვ.მ. აპარტამენტებიც. როგორც აღვნიშნეთ, სააქციო ფასი 500 აპარტამენტიდან, მხოლოდ 80 აპარტამენტზე ვრცელდება.- ამიტომაც უნდა იჩქაროთ და ხელიდან არ გაუშვათ შანსი, რომელიც დიდი ეჭვი მაქვს, მომავალში აღარ იქნება.

**— გარდა იმ ორი პროექტისა, რო-მელზეც ამ ინტერვიუში ის-აუბრეთ, კიდევ რა მიმდინარე პროექტებზე მუშაობს ორბი ჯგუფი და რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?**

— დღეისათვის „ორბი ჯგუფს“ მშენებლობა 1 მილიონ კვ.მეტ-რზე აქვს და აშენებს „ორბი კონტინენტალს“, „ორბი სითის“, „ავანგარდი ბაი ორბის“, „კომფორტ ბაი ორბის“, პროექტს მახინჯაურში, „ცენტრალ პარკ თაუერსს“ თბილისში. პროექტირება უკვე დასრულდა და სულ მალე დავიწყებთ 4 ახალ პროექტს პრემიუმ და ლაქშერ სეგმენტში. რაც შეეხება „ავანგარდი ბაი ორბიში“ აქციას, ის დაწყებიდან ერთ კვირაში დასრულდა. დღეისათვის აპარტამენტის ღირებულება ნაცვლად 18 500 დოლარისა, როგორც გითხარით, 36 500 აშშ დოლარია. 3-4 დღეში შეძლო პირველმა 100-მა მყიდველმა უნიკალურ ფასში 18 500 დოლარში აპარტამენტის შეძენა. დღეს კი მისი ფასი უკვე ორჯერ მეტია.

იგივე ობიექტური და პოზიტიური მოლოდინები გვაქვს **Comfort by Orbi**-ს შემთხვევაშიც, რადგან ჩვენ ვსაუბრობთ, ფაქტობრივად დასრულებულ პროექტზე და არა მშენებარეზე.

ამიტომაც, იჩქარეთ, გააკეთეთ ერთ-ერთი ყველაზე გონივრული არჩევანი და განახორციელეთ ინვესტირება **Comfort by Orbi**-ში.

**Comfort by Orbi**-ში აპარტამენტის მსურველებმა დარეკეთ:

+995 555 310 000
+995 511 538 538
+995 511 539 539

**www.orbi.ge**

გაყიდვების ოფისები:

თბილისი;

**ალ. ყაზბეგის გამზ. №12ა**

ბათუმი;

**ი. კობალაძის ქ. №2**

# „პარვუს ჯგუფი“ შემოქმედის თემში საგანმანათლებლო პროექტებს აგრძელებს



კომპანია „პარვუს ჯგუფისა“ და **USAID**-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის ორგანიზებით გასულ სასწავლო წელს შემოქმედის თემის სამი სკოლის მოსწავლეებს — კვირიკეთის, გომისა და შემოქმედის უფროსკლასელებს ჩაუტარდათ ტრენინგები თემაზე — *„ვიცავთ გარემოს და ვქმნით ენერგოუსაფრთხო მომავალს“*. პროექტის მიზანი გარემოს დაცვასა და განახლებადი ენერგიების როლსა და მნიშვნელობაზე მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლება იყო. პირველი ეტაპი სასწავლო წლის ბოლოს ადგილობრივი „ენერგო ელჩების“ არჩევით დასრულდა, ისინი კვალიფიციურად შეძლებენ დაასაბუთონ რა როლი აქვს განახლებად ენერგიებს ქვეყნის მდგრად განვითარებაში, ენერგოდამოუკიდებლობასა და უსაფრთხო, ეკოლოგიური მომავლის შექმნაში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მომავალში თავად იქნებიან ჩართული ენერგეტიკული პროექტების მართვასა და განხორციელებაში.

ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე ტრენერებმა გამართეს შემაჯამებელი შეხვედრა „ღია გაკვეთილის“ ფორმატში პედაგოგთა და მშობელთა მონაწილეობით. ტრენინგის მონაწილეებს მიეცათ შეძენილი უნარების და ცოდნის გაზიარების საშუალება. მათი თხოვნით კომპანია მიმდინარე სასწავლო წელსაც გააგრძელებს ტრენინგებს „საკვირაო სკოლის“ ფორმატში, რომლის ფარგლებშიც განახლებადი ენერგიების შესახებ ცოდნის გარდა, გამოიმუშავებენ პროექტების წერის უნარებს, ჩატარდება პროფესიული ორიენტაციის ვორქშოფები, მოსწავლეების ჩართულობით წელსაც დაიგეგმება დასუფთავების და გამწვანების აქციები, ტური ობიექტზე და სხვა აქტივობები.

კომპანია "პარვუს ჯგუფი" წელს კიდევ უფრო გააფართოებს საგანმანათლებლო პროექტების სამიზნე აუდიტორიას და შემდეგი კვირიდან აქტიურად დაიწყებს ტრენინგების ციკლს პედაგოგებისთვის, მათივე საჭიროებების და სურვილების გათვალისწინებით. წინასწარი შეხვედრების შემდეგ პედაგოგებმა ბავშვთა კვალიფიციურ ფსიქოლოგთან, ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან შეხვედრების სურვილი გამოთქვეს. ასევე ჩატარდება პროექტების წერის და ფონდების მოძიების სემინარები და ვორქშოფები სხვადასხვა უნარების გამომუშავების მიზნით.

საერთაშორისო ინსტიტუტების პრაქტიკით აღიარებული რეგულაციების მიხედვით, გარემოსდაცვითი და სოციალური მიმართულებით, ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას კომპანიას აქვს ვალდებულება კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში თემში სოციალური საკითხების მიმართულებით გარკვეულ აქტივობები განახორციელოს, წინასწარი მოკვლევების საფუძველზე გამოიკვეთა ჯანდაცვის და განათლების მიმართულება, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს და კვლავაც გაგრძელდება სხვადასხვა პროექტების განხორციელება. ამ მიმართულებით კომპანია მოუწოდებს ადგილობრივ მოსახლეობას ჩართულობისკენ, იდეების, საჭიროებების გაზიარების და მონაწილეობის კუთხით.

**დაფინანსებული ფართი**

# ბახვი ჰესის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს გასვლითი სხდომა

2024 წლის ოქტომბერში ბახვი ჰესის მენეჯმენტის და კომპანიის გარემოდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს წლის რიგით მესამე, გასვლითი შეხვედრა გაიმართა ყაზბეგში. ვიზიტის ფარგლებში, საბჭოს წევრებმა ქართულ-ავსტრიული კომპანიის, შპს „ენერგო არაგვის“ მიერ აშენებული და დღეს ოპერირებაში მყოფი მცირე ჰიდროელექტროსადგურები — „არაგვი ჰესი“ და „არაგვი ჰესი 2“ მოინახულეს.

მრჩეველთა საბჭოს წევრებმა ასევე, მოინახულეს 108 მეგავატის სიმძლავრის „დარიალი ჰესიც“, რომელიც წლიურად 500 მლნ კვ/-სთ-ს ელექტროენერგიას გამოიმუშავებს და რომლის განმახორციელებელი კომპანიაა სს „დარიალი ენერჯი“.

„ბახვი ჰესის“ გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების მრჩეველთა საბჭოს სხდომის ფარგლებში კომპანიის დირექტორმა, **გიორგი აბრამიშვილმა** საბჭოს წევრებს მშენებლობის მიმდინარეობასა და სამშენებლო გეგმებზე ესაუბრა. გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების ოფიცერმა, **მარიამ ვაჩნაძემ** წარადგინა პრეზენტაცია გარემოსდაცვითი და სოციალური პროექტების მიმდინარეობის შესახებ. მან ვრცლად ისაუბრა კვლევებსა და მონიტორინგის აღსრულებაზე. ასევე, საბჭოს წევრებს წარუდგინა ყოველკვარტლური კვლევების შედეგები, რომელსაც მოწვეული ექსპერტები ატარებენ და შემარბილებელი ღონისძიებების მიმდინარეობა, რომელსაც კომპანიის გარემოსდაცვის გუნდი აღასრულებს უცხოელი მკვლევარების მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის მიხედვით.

*„ჩვენი პრიორიტეტია პასუხისმგებლიანი მშენებლობა და მშნებლობის განვითარების კვალდაკვალ,პროექტის დასაწყისში კვლევების ეტაპზე მოწვეული საერთაშორისო ექსპერტების მიერ შემუშავებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სამოქმედო გეგმის აღსრულება დამონიტორივნი. ჩვენი გარემოსდაც-ვითი და სოციალური საკითხების გუნდი ძალიან დეტალურად მიუყვება ამ გეგმას და აღასრულებს ყველაინიციატივას, რომელიც გაწერილია ამ სამოქმედო გეგმაში, რომელიც თავის მხრივ გზშ-ს დოკუმენტსი ნაწილია. კვლევებს კვარტალში ერთხელ აწარმოებენ მოწვეული, დამოუკიდებელი ექსპერტები. შემარბილებელ ღონისძიებებზე კი, ჩვენი გუნდი ზრუნავს. სასიახარულოა ის ფაქტი, რომ მკვლევარების მიერ დაფიქსირებული შედეგები ადასტურებს ინფ-ორმაციას იმის შესახებ, რომ მშ-ნებლობის მიმდინარეობის პირობ-ბში, ცხოველებისა და ფრინველების ჰაბიტატი პასუხობს მათთვის მისაღებ საარსებო გარემოს პირობებს“* - განაცხადა კომპანია ბახვი ჰესის გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების ოფიცერმა**, მარიამ ვაჩნაძემ.**

მრჩეველთა საბჭოს წლის ბოლო, რიგით მეოთხე შეხვედრა 20-24 წლის დეკემბრის თვეშია დაგეგმილი.

**„არაგვი ჰესი,“** ყაზბეგის მუნიც-იპალიტეტში, გუდაურის მიმ-დებარე ტერიტორიაზე, მდინარე თეთრ არაგვზეა განთავსებული, 2013 წლის შემოდგომაზე შევიდა ექსპლუატაციაში. მისი დადგმული სიმძლავრე 8.66 მგვტ-ია, ხოლო წლიური გამომუშავება – 45-50 მლნ კვტ.სთ. სადგური აღჭურვილია უმაღლესი ხარისხის ევროპული დანადგარებით და მართვის სისტემებით.

**„არაგვი ჰესი 2“** ასევე ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. სადგური 2019 წელს შევიდა ექპლუატაციაში. მისი დადგმული სიმძლავრე 1.95 მგვტ-ია, ხოლო წლიური გამომუშავება - 12-13,5 მლნ კვტ.სთ.

**„დარიალი ჰესი“** 2017 წელს შევიდა ექსპლუატაციაში. 108 მეგავატის სიმძლავრის მქონე ჰიდროელექტროსადგური საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ყაზბეგში, მდინარე თერგზე, დინების მიმართულებით ზღვის დონიდან 1729 მეტრის სიმაღლეზე ოპერირებს. ჰიდროელექტროსადგური აგროვებს წყლის ნაკადს მდინარე თერგიდან და მიმართავს მას დერივაციული გვირაბით გენერალურ ნაგებობამდე, რომელიც განთავსებულია ზღვის დონიდან 1334 მეტრზე, 1,2 კმ-ში რუსეთ-საქართველოს საზღვართან. ჰესის წლიური სტაბილური გამომუშავება შეადგენს 500 მლნ კვ/სთ

# ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში დაცული ქალის სამკაულები



სამკაული სხეულისა და ტანსაცმლის შესამკობი ნივთია. . ცნობილია როგორც მუდმივი (მყარი), ისე მოძრავი სამკაული. უძველეს ხანაში მუდმივი სამკაული კეთდებოდა მოხატვით, ტატუირებით ან დაშრამვით. იკეთებდნენ სხვადასხვა მიზნით: სხეულის ფორმის ხასგასმა,ასაკობრივი მდგომარეობისა და რანგის,ომისა და ნადირობის მიმდევრობის,რომელიმე ტომის კუთვნილების გამოსახატავად და სხვა.

ადამიანმა ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში გახვრიტა და ყელზე სამკაულად ჩამოიკიდა სხვადასხვა ცხოველთა კბილები, მოლუსკების ნიჟარები.

სამკაულს იკეთებდნენ ზეიმისა და დღესასწაულის დროს, ემყარებოდა საკრარული საიდუმლოების, მაგიური მფარველობის მიზანს. სამკაული ზოგჯერ ტანსაცმლის შემადგენელი ნაწილია: სარტყელი, წინსაფარი, თავსამკაული და სხვა. ფიქრობენ, რომ ამულეტი, თილისმა, ფეტიში თავდაპირველად სამკაული იყო, რომლის ტარების დროს მის პატრონს შემთხვევითი ძალა ემატებოდა და მის ფარველობაში რწმუნდებოდა.

მუსტიეს ხანიდან ცნობილია ტანისა და სახის შეღებვის შემთხვევები (ოქრა, რკინის ჟანგი, შავი საღებავი). სამკაულად ცხოველის კბილებთან, ნიჟარებთან ერთად იყენებდნენ ჭრელი კაჟის ქვას, მთის ბროლს, ძვალს, ყვავილება, გახვრეტილ კურკებს, ბეწვს, ფრთებს და სხვა.

ზედა პალეოლითის, ნეოლითის, ენეოლითია ხანაში მომრავლდა სამკაულის სახეობანი, რომელსაც ამზადებდნენ გიშრის, ქარვის, მარჯნის, მთის ბროლის შპატისა და სხვა მასალისაგან. სპილენძ-ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული უძველესი ადგილი დაიმკვიდრა ლითონმა, განსაკუთრებით კეთილშობილურმა ოქრომ და ვერცხლმა. ძირითადი მიზეზი იყო ოქროსა და ვერცხლის მიმზიდველი ფერი და მზინვარება. მისი ქიმიური მდგომარეობა და პრაქტიკული უცვლელობა.ოქროს სამკაულის ფერადოვნებას ქმნიდნენ ფერადი ქვის, ანუ გრანულაცია სხვადასხვა მინის, თვლების ჩასმის ინკუსტრაციით.

ბრინჯაოს ხანაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა სამკაულთა ძირითადი სახეობები: სათითე ბეჭედი, სამაჯური, გულსაკიდი- ყელსაბამი, საყურე,, საკინძი, მშვილდსაკინძი, სასაფეთქლე რგოლები, საყელური, ბალთა, აბზინდა, საწვივე, საპარადო - სარიტუალო ნივთები, დიადემა და შეიქმნა გარნიტურის ანუ ერთი ხელის სამკაულის მცნება, რომელსაც დღემდე არ განუცდია არსებითი ხასიათის ცვლილება.

სამკაულს თავიდანვე ორმაგი დანიშნულება ჰქონდა: მხატვრულ-ესტეტიკური და ნიშნადი. პირველი ეს არის ქალის გალამაზება. სამკაულს ოდითგანვე ჰქონდა ავგაროზის მნიშვნელობა, ითვლებოდა, რომ თუ ადამიანი სამკაულს ატარებდა ღვთაების ან მისი რაიმე ატრიბუტის გამოსახულებით იგი ეზიარებოდა ამ ღვთაებას, მისი მარველობის ქვეშ შედიოდა და დაცული იქნებოდა ყოველი ავისაგან. განსაკუთრებით ზებუნებრივი ზემოქმედების ძალა მიეწერებოდა ცხოველთა კბილებს, ზოგიერთ მინერალს.



შუა საუკუნეების ქრისტიანულ ქვეყნებში სამკაულთა შორის საპატიო ადგილი დაიკავა ჯვარმა, როგორც ქრისტიანულმა სიმბოლომ, მაგრამ ძველსაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, სწორედ შუა საუკუნეებში დამუშავდა ფერადი ქვების სიმბოლიკა. როდესაც ზოდიაქოს ერთი რომელიმე მინერალი დაუკავშირეს.გადმონაშთის სახით ეს წარმოდგენები დღესაც კი ცოცხლობს..

სამკაული ძველ დროში ეთნიკური და სოციალური მდგომრების განმასხვავებელი ნიშანი იყო, მას მამაკაცებიც ატარებდნენ, ბეჭედი, ყელსაბამი და საყურე აუცილებელი ელემენტი გახდა წარჩინებულთა მორთულობისა, წარჩინებულთა მორთულობისა ეკონომიურ მდგომარეობას განსაკუთრებით ძვირფასი სამკაული გამოხატავდა.

ცნობილია,რომ საქართველო ითვლება ლითონის დამუშავენის ერთ-ერთ უძველეს კერად მსოფლიოში. ადამიანი სპილენძს პირველად ძვ. წ, IV ათასწლეულში გაეცნო. ძვ. წ. III ათასწლეულიდან იცოდნენ ბრინჯაოს დამზადება, ამავე ხანიდან ეუფლებოდნენ სხვა ლითონებსაც: ტყვიას, ვერცხლის, ოქროს.

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ქართველი ოქრომჭედლები ფლობდნენ ლითონის დამუშავების ისეთ ხერხებს, როგორიცაა გავარსი ანუ გრანულაცია ე.ი. ნივთის შემკობა ოქროს მავთულებით, ამზადებდნენ დაფანჯრულ (ჭვირულ-აჟურულ) და ფუყე ნივთებს და მიმართავდნენ ფერადი ქვებით ინკუსტრაციას.

ანტიკურ ხანაში ახალმა სოციალურ-ეკონომიურმა საფუძვლებმა განაპირობა ფერადი ქვებით ინკუსტრაცია.



უმდიდრეს და უნატიფეს სამკაულებს შეიცავს ვანის სამარხები და ახალგორის განძი არმაზისა და ბაგინეთის სარკოფაგები, მცხეთის აკლდამა, წინწყაროს ზრუდერის, სიონის, ბორის, კლდეეთის, ურეკის, ფიჭვნარის და სხვათა სამარხები, საიც წარმოდგენილია გავარსის, ფილიგრანის, ტიხრული მინანქრის, პორტრეტული ინტალიოს მრაბალი ნიმუში: მცირე ქანდაკებები, მრავალი ნივთები, ქვები, მათ შორის მრავალი იმპორტული ნივთი, უცხოური სტილის ნიმუშები.

საქართველო ცივილიზაციის სამყაროს ორგანული ნაწილი იყო. ქართული ოქრომჭედლობა განვითარების ყველა საფეხურზე ატარებდა თავისი ეპოქის ნიშნებს, მას ჰქონდა ეროვნული თავისებურებებიც, რომლითაც ერთი მხრივ განსხვავდებოდა ქართველთა ნახელავი მათი თანადროული უცხოური ნაწარმისაგან, მეორეს მხრივ აკავშირებდა სხვადასხვა როს შექმნილ ნივთებს.



გვიან ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანაში პოპულარული გახდა ნახევრად დამუშავებული სერდოლიკისა კენჭებისაგან შედგენილი ყელსაბამი, ჩნდება მინისა და მინისებური პასტის მძივები,

ძვ, წ,VII-VI ს-ში ქართულ ოქრომჭედლობის სკოლა თავისთავადობას ქმნის, უმთავრესია გავარსი და მისი დაწყობის წესი-ბადები, სამკუთხედების სისტემები, სვასტიკა და სხვა.

ადრე ანტიკური ხანა (ძვ. წ. V-IV ს-ები) პირველი ქართული სახელმწიფოებრიობის კოლეთისა და იბერიის ჩამოყალიბების ხანაა- ამ პერიოდს დაემთხვა ქართული ოქრომჭედლობის ახალი მეორე აღმავლობა.

კოლხური ძეგლებიდან ცნობილია ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებანი, ბრინჯაოს ჭვირული ბალტები, საკინძის თავები შემკული მარჯნის, მარგალიტის, ძოწის თვლებით. ანტიკური ხანის დასასრულიდან ქართულ სამკაულში უფრო მეტად თავს იჩენს ეროვნული მიმართულება, ადრინდელ შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელდა ეგრეთ წოდებული მცხეთური თავსამკაული: საკინძეები, თმის სარჭები, გვხდება ოქროს სხვადასხვა ნივთები, ფართოდ გავრცელებული მინის ბეჭდები.

X-XIII საუკუნეები აყვავების ხანაა ქართულ ჭედურ ხელოვნებაში, შუა საუკუნეებში მსოფლოს არცერთ ხალხს არ შეუქმნია ის, რაც ქართველებმა შექმნეს — ბედიის ბარძიმი,ხახულის სტრიფტიქი ტიხრული მინანქრის უამრავი მინიატურული ხატი და მედალიონი, რაც ძველი ქართული ოქრომჭედლობის აღმავლობის მაუწყებელია.

შუა საუკუნეებში საოქრომჭედლო სახელოსნოები არსებობდა თბილისში, დმანისში და რუსთავში. XIX ს-ში თბილისი ხელოსნობისა და ლითონის მხატვრული დამუშავების არამარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის უდიდეს ცენტრად რჩებოდა. ,,ოქრომჭედლობისა‘‘ და ,,ვერცხლის‘‘ ქუჩაზე ჩამწკრივებულ სახელოსნო დარბაზების გვერდით, ოქრომჭედლობის მეორე მსხვილი ცენტრი საქართველოში ახალციხე იყო, თავისი სწორუპოარი ფილიგრანული ნაწარმით. ცნობილია, რომ ვერცხლის სამკაულს ქართველი ოქრომჭედლები სევადით ამკობდნენ. სევადი ყორნისფერი შავი მასაა, რომლითაც იფარებოდა ვერცხლის ნივთებზე ამოკვეთილი ორნამენტი. სევადი კეთილშობილური ლითონის შემკობის ნამდვილი, ადგილობრივი ქართული და კავკასიური ხერხია, რომლის ისტორიაც საქართველოში სულ ცოტა ორიათას წელს ითვლის.

ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმის ფონდსაცავში ქალის მრავალი სამკაულია დაცული. ყველაზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია გვიან ბრინჯაოს-ადრე რკინის ხანის( ძვ. წ.VII-VI სს) ურეკ- წვერმაღალას სამაროვანზე აღმოჩენილი სამკაულები. გათხრების შედეგად სულ 72 სამარხი აღმოჩნდა, მათ შორის 24 სამარხში მხოლოდ ქალის სამკაულებია. აღნიშნული სამკაულები იყოფიან ლითონისა და მძივ სამკაულებად. ლითონის სამკაულები წარმოდგენილია ხატისულლები, სამაჯურები, რგოლების, ზარაკებისა და ძეწკვების , საკიდების სახით.

მძივსამკაულში ყველაზე რიცხვმრავალია სერდოლიკის დიდი ზომის მოვარდისფერო და მუქი ყავისფერი სარდიონის შესანიშნავად დამუშავებული, სხვადასხვა ზომის სფერული მძივები და გიშრის მრგვალი და ბალიშისებური ფორმის, გვხვდება მიმისა და პასტის მძივები. ამ უკანასკნელის გავრცელება კავკასიაში ძვ.წ. VI ს- დან იწყება, რაც მიუთითებს კოლხეთში სირიული და ეგვიპტური იმპორტის შემოტანაზე.

მუზეუმში მრავლადაა წარმოდგენილი ურეკში შემთხვევით ნაპოვნი ბრინჯაოს სამკაულები, ბრინჯაოს საკინძი, ბრინჯაოს სარტყელი გველის გამოსახულებით, ფიგურებიანი პასტის მძივები- ნიღბის-ებური. პროფესორ **ანდრია აფაქიძის** აზრით: *,,ნიღბისებური მძივის შემონახვა საუკუნეების მანძილზე, რო-გორც ავგაროზი თაობიდან თაობას გადაეცემოდა ახ, წ. III-IV სა-უკუნეებში‘‘.*

ურეკში შემთხვევით აღმოჩენილია აგრეთვე ანტიკური ხანის ოქროს ნივთები: ოქროს სამკერდული, ოქროს სამაჯურის ფრაგმენტი ორ-



თავე შემკულია ალმადინის თვლებით.

და ბოლოს უნდა ითქვას,რომ სამკაული მატერიალური კულტურის იმ ნაწილს შეადგენს, რომელიც ასახავს ისტორიული მოვლენის ისეთ მნიშვნელოვან ასპექტს, როგორიცაა მოცემული კულტურის გარე სამყაროსთან ურთიერთობის სფერო და მასშტაბები და რომ მისი დამამზადებელი და მომხმარებელი საზოგადოება მაღალი, დახვეწილი გემოვნენის მატარებელია, რომ კლასიკურ ხანაში კოლხური კულტურა თავის განვითარების უმარლეს საფეხურს აღწევს, რომლის განუყოფელი ნაწილიც იყო გურია.

**მანანა ლომაძე,**
ოზურგეთის სამუზეუმი
გაერთიანების ფონდების
მთავარი მცველი

# ილია და გრიგოლ ორბელიანი



და დადგა დრო ერთი ჩემთვის მნიშვნელოვანი წიგნი გაგაცნოთ და იმედი გამოვთქვა, არც თქვენ დარჩებით მის მიმართ გულგრილი. ავტორი გურულია, აწ გარდაცვლილი **იუზა ევგენიძე.** სულ რამდენჯერმე შევხვდი. ბატონი იუზა პროფესორი გახლდათ იმხანად. მე გამომცემლობა ,,მერიდიანის'' ახალგაზრდა დირექტორი.

პირველ შეხვედრაზე მოვყვები, პირდაპირ რომ ეხება ზემოხსენებულ წიგნს, სათაურით ,,გრიგოლ ორბელიანი''.

1995 წლია. თვე სექტემბერი, გამომცემლობა ,,მერიდიანმა'' ესესაა გამოსცა და ხომ იცით, როგორ ხდება, როცა ახალფეხადგმული გამომცემლობა სახელოვანი ავტორის მნიშვნელოვან წიგნს გამოსცემს? სხვათაშორის ეს ის დროა, საჯარო წარდგინებები ანუ ,,პრეზენტაციები'' ჯერ კიდევ არ არის მოდაში. აღნიშვნები, ძირითადად, ქართულ სუფრაზე ხდება, განსაკუთრებით ავტორის ოჯახში.

ბაგებში ცხოვრობდა იმხანად ბატონი იუზა და ვიდრე მე, აზრობრივად კიდევ ერთხელ ვესტუმრები, ბიოგრაფიას გაგაცნობთ. რასაკვირველია, ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული ლექსიკონიდან.

### იუზა ევგენიძე

დაბადების თარიღი: 24 თებერვალი, 1943;

გარდაცვ.ალების თარიღი: 2 იანვარი, 2013 (69 წლის ასაკში);

კატეგორია:
ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი.

### ბიოგრაფია

დაბადების ადგილი: სოფელი ახალსოფელი, ლანჩხუთის რაიონი;

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი 1965 წელს.

1969 წლიდან მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; 1993-2006წწ. აკაკი წერეთლის კაბინეტის გამგე; 2009 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები: ,,ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისათვის''(1977), ,,ვაჟა-ფშაველა'' (ცხოვრებისა და შემოქმედებითი ისტორიის საკითხები, 1982), ,,ქართული რომანტიზმის საკითხები'' (1982), ,,გრიგოლ ორბელიანი''(1995); მისი თანაავტორობითა და მონაწილეობით გამოცემულია არაერთი წიგნი და კრებული, მათ შორის ,,ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის'' (ტ. II, 2003) სახელმძღვანელო; 1966 წელს გერმანიაში, ჟურნალ ,,გეორგიკაში'' დაიბეჭდა მისი ნარკვევი ,,ვაჟაფშაველას მრწამსის საკითხი გრიგოლ რობაქიძის ნაზრევში'', ხოლო ვატიკანში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა ნაშრომები ,,ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების თემატიკა''(2006) და ,,ვაჟა-ფშაველას პოეზიის რაინდული სული'' (2008); ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1995), პროფესორი (1997).

სადოქტორო დისერტაციის თემა ,,ვაჟა-ფშაველა/ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიის საკითხები'', დაიცვა 1995 წელს.

წყარო: საქართველო: ენციკლოპედია: ტ.2. თბ., 2012. გვ.549; საქართველოს მეცნიერებათა დოქტორები, 1992-2006/ შემდგ. და რედ.: ირინა ჯაფარიძე. -თბ., 2012. -გვ.463

*ორგანიზაციის, ასოციაციის ან ჯგუფის წევრი*

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემია, წევრი (1999-)

ჯილდოები, პრემიები და პრიზები

2003 ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი.

ბიოგრაფიას ბიბლიოგრაფია ერთვის, რომელიც, ბუნებრივია, სრულად არ ასახავს ბატონი იუზას სამეცნიერო მოღვაწეობის წერილობით შედეგს. ამიტომ აქ არ ვურთავ. რამდენიმე მნიშვნელოვან სამეცნიერო ნაშრომს ჩამოვთვლი მხოლოდ:

1979 ახალი ქართული ლიტერატურა : XIX ს. : ნაწილი I;

1995გრიგოლ ორბელიანი;

1995ილია ჭავჭავაძე : ცხოვრება და შემოქმედებითი ასპექტების დახასიათება;

2003 ქართველი მწერლები ვაჟა - ფშაველას შესახებ;

2003 ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია : წიგნი II;



2004 აკაკი წერეთელი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ;

2005 აკაკი წერეთლის თხზულებათა მხატვრული სპეციფიკისა და შემოქმედებითი ისტორიის საკითხები;

2011 ილია და აკაკი : ლიტერატურული ნარკვევები;

2014 ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები;

მოდით, ისით ვთქვათ თუ აღვნიშნოთ. ჩამოთვლილთაგან ზოგიერთი მონოგრაფიაა, ზოგიერტი კი თანაავტორობით.

მენდეთ, ბევრი ცნობილი მეცნიერია თანაავტორთა შორის, და მაინც, მე ზემოთ რომ წიგნი გავიხსენე მის შესახებ მოგითხრობთ:

მეტად მცირე, ანოტაცია აქვს ,,გრიგოლ ორბელიანს'', ერთიციცქნა და ბუნებრივია, სრულად მომყავს.

*,,წიგნში დახასიათებულია გამოჩენილი ქართველი პოეტის გრიგოლ ორბელიანის ცხოვრება და მოღვაწეობა, განხილულია მისი შემოქმედების ზოგიერთი მხარე.*

*წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.''*

მენდეთ, ახლა რომ გამოსაცემად ვამზადებდე წიგნს, სხვას თუ არაფერს, სიტყვას -,,ზოგიერთი, აუცილებლად ,,მრავალი'' ან ''ბევრი''-თ შევცვლიდი...

წინათქმას, აბა, მოემზადეთ... ილიას სიტყვები მოსდევს და მეც ბუნებრივია, სრულად მომყავს: *<...> გრ. ორბელიანს როგორც პოეტს წინ ვერავინ გადურბენს ჩვენში, ამ მეცხრამეტე საუკუნეში – <...> ერთს ევროპიულს გაზეთში ნათქვამი იყო, რომ ერთი უდიდესი ლირიკოსია ამ მეცხრამეტე საუკუნისაო''.*

მართალია, დიდი ილიას სიტყვებს წიგნის შინაარსი არ მოჰყვება, მაგრამ, მე ბოლოს წინა გვერდზე გადავალ და შინაარს გამცნობთ, თუმცა მანამდე იმასაც გეტყვით, წიგნს გამოსაცემად ახლა რომ ვამზადებდე, შინაარს წინ გადავიტანდი და თავების დასათაურებების გარდა, ქვესათაურებცაც იქვე განვათავსებდი.

ახალგაზრდები ვიყავით იმ დროს, თანაც სარედაქციო სამუშაოები სულ სხვა გამომცემლობაში შესრულდა, იმდროინდელი წესების სრული დაცვით.

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

თავი I — გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების გზა

თავი II — გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურულ-ესთეტიკური და მოქალაქეობრივი მრწამსი

თავი III — ბრიგოლ ორბელიანის შემოქმედებითი მასალა და მხატვრული ინტერესები

თავი IV — გრიგოლ ორბელიანის პოეზიის ტენდენციები

თავი V — გრიგოლ ორბელიანის პროზა.

მე, თხრობას სულ ბოლოდან ვიწყებ და ჩემთვის ერთ მნიშვნელოვან ნამოღვაწარზე გიამბობთ. ჯერ ორ ,,მატიანეს'' უნდა ჩავხედო:

გრიგოლ ორბელიანის ,,მატიანეს'' კალენდრით 1831 წელია. 12 აპრილი (მამაჩემის და სიდედრის დაბადების დღეა და თარიღი ამ მიზეზთა გამოც მახსოვს კარგად) ,,კავკასიის გრენადერთა ბრიგადის მეთაურის, გენერალ-მაიორ ივან სიმონიჩის ბრძანებით, (გრიგოლ ორბელიანს) სამხედრო სამსახურისთვის გზავნიან ქართველ გრენადერთა პოლკში მაიორ აპოლონ სივრიჩთან.''

იმავე დღეს, გრიგოლ ორბელიანი წერილს იღებს ქართველ გრენადერთა პოლკის მეთაურის – ივან სიმონიჩისაგან, რომელიც დარიგებებს აძლევს, როგორ მოამზადოს პეტერბურგში გამგზავრებამდე სანიმუშო ქვეითი პოლკისთვის შერჩეული ჯარისკაცები.

1831 14 აპრილი ერევნის გრენადერთა პოლკის უფროსს – ალექსანდრე დადიანს წერილობით სთხოვს, მიაწოდოს ინფორმაცია სანიმუშო ქვეით პოლკში გასაგზავნად შერჩეული ჯარისკაცებისთვის საგანგებოდ შეკერილი სამოსლის შესახებ.

1831 15 აპრილი ,,ერევნის გრენადერთა პოლკის უფროსს – ალექსანდრე დადიანს წერილობით ატყობინებს, რომ საჭიროა ადრესატის დანაყოფიდან სანიმუშო ქვეით პოლკში გადასაყვანად შერჩეული ჯარისკაცებისთვის ახალი შეიარაღებით უზრუნველყოფა''.

1831 9 ივნისი ,,გენერალ ნიკიტა პანკრატიევის ბრძანებით, თბილისიდან მიემგზავრება პეტერბურგში, კავკასიის კორპუსიდან საგანგებო ქვეითი პოლკისთვის შერჩეული ჯარისკაცების ნოვგოროდში ჩასაყვანად. აცილებენ მეგობრები. შედის სვეტიცხოველში და ემშვიდობება მეფე ერეკლესა და სხვა სახელოვან წინაპართა საფლავებს. აღწერს სამშობლოსთან განშორებით გამოწვეულ განცდებს. მცხეთაში ჩასვლისას წერილს იღებს ძმის, ზაქარიასგან, რომელიც იბრძვის ამბოხებული პოლონელების წინააღმდეგ. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ დღის მოვლენების შესახებ.''

ჩვენ ,,გრიგოლ ორბელიანიდან'' ერთ აბზაცს მოვიხმობთ:

,,გრიგოლ ორბელიანის ბელეტრისტული შესაძლებლობების შესაფასებლად პროზის დიდოსტატის ამ დაკვირვებასაც შეიძლება ჰქონდეს გარკვეული მნიშვნელობა, რადგან საკუთარი შემოქმედებითი პრაქტიკით შეძენილ გამოცდილებას ზოგჯერ ლოგიკური არგუმენტის ძალა გააჩნია სხვებისათვისაც. ამ მხრივ გრიგოლ ორბელიანის მწერლური ნიჭი უფრო გამოჩნდა შედარებით მშვიდი შთაბეჭდილებებით დატვირთულ ნაწარმოებში, რომელსაც ჰქვია ,,მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის''. ეს თხზულება შეიძლება გრიგოლ ორბელიანის საპროგრამო ნაწარმოების მონახაზადაც მივიჩნიოთ, რამდენადაც აქ გამოხატული იდეები, მხატვრულ- ესთეტიკური ინტერესები სათანადო გაშლა-გაღრმავებას განიცდის პოეტის ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე და ნათლად ავლენს როგორც მის ეროვნულ-პოლიტიკურ მრწამსს, მოქალაქეობრივ პოზიციას, ასევე სამწერლო ინტერესებს და მხატვრულ სიმპათიებს. აქ მრავალფეროვან საკითხთა წყებაზე აჩერებს პოეტი ყურადღებას: იქნება ეს ეროვნული, სოციალურ-პოლიტიკური, ესთეტიკური, ეთნოგრაფიული თუ სხვ. მაგრამ ყველა შემთხვევაში ეროვნული მიზანსწრაფვა მართავს პოეტის ინტერესებს. ის ფაქტი, რომ გრ. ორბელიანი ერთი ნაწარმოების ფარგლებში თავს უყრის მრავალ საკითხს, ახერხებს ჩაატიოს ინტერესთა მრავალფეროვნება ერთ ქმნილებაში, განსაზღვრულია იმით, რომ მწერალი მოგზაურის თვალით დანახული სინამდვილის ასახვას ახდენს. არქიტექტონიკის თვალსაზრისით საკითხთა ნაირფეროვნების თავმოყრას ამართლებს მოგზაურის, ამ შემთხვევაში გრ. ორბელიანის, თვალწინ გადაშლილი სინამდვილიდან მიღებული შთაბეჭდილებების სიუხვე. ავტორს მოცმულ შემთხვევაში შესაძლებლობა ეძლევა ყურადღება შეაჩეროს ყველა იმ მტკივნეულ, ან საინტერესო კითხვაზე, რაც აწუხებს და რომელზეც მსჯელობა და საკუთარი აზრის გამოთქმა მას მიზანშეწონილად მიუჩნევია. აკაკი გაწერელიას დაკვირვებით, ,,მოგზაურობის ზოგიერთი ადგილი წარმოადგენს პოეტის საუბარს თავის თავთან. უმთავრესად კი ,,მოგზაურობა'' მკაფიო პროგრამული გადმოცემაა შეთქმულთა იმ იდეებისა, რომელიც პოეტის მთელ რიგ ლექსებში მხატვრული სახეებითაა გამოხატული.

ჯუმბერ ჭუმბურიძის აზრით, ,,თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარსულ საუკუნეებში ბევრს არ დაუტოვებია ისეთი მნიშვნელობის დოკუმენტური პროზის ნიმუში, როგორიცაა, გრიგოლ ორბელიანის ,,მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის''.

,,მგზავრობა'' წარმოადგენს დღიურს, რომელიც პოეტს უწერია 1831 წლის 9 ივნისიდან 1832 წლის 31 აგვისტომდე. საგულისხმოა ის, რომ აქ შეუნიღბავად არის გადმოცემული გრიგოლ ორბელიანის ეროვნული კონცეფცია, რომელიც მისი პოეზიის ლაიტმოტივიცაა.''




გპირდებით, ,,მოგზაურობას'' და კიდევ რამდენიმე ამბავს, ჩვენ კიდევ მივუბრუნდებით, მანამდე, ისე როგორ იქნება ილია არ გავიხსენოთ. არც იმის გახსენება გვაწყენს, რომ...

ილია, 1861 წელს ,,იწყებს ,,მგზავრის წერილების'' წერას'' და 1871 თებერვლამდე ,,მუშაობს ,,მგზავრის წერილების'' საბოლოო რედაქციაზე''.

მთელი 10 წელი, ძვირფასო მკითხველო!

ილიას ,,მატიანეს'' კალენდრით, 1871 27 თებერვალია, ,,გაზეთ ,,დროებაში'' ,,ნიკ. დიმიტრიძის'' ფსევდონიმით იბეჭდება ნიკოლოზ ყიფიანის რეცენზია, რომელშიც საუბარია ჟურნალ ,,კრებულის'' პირველ ორ ნომერში გამოქვეყნებულ თხზულებებზე. განხილულია ილია ჭავჭავაძის ,,სცენები მიროვოი პოსრედნიკთან'' და ,,მგზავრის წერილები''. ნათქვამია, რომ მისი ნაწერები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს და რომ მათში ბევრი ისეთი საკითხია წამოჭრილი, რომელზე დაფიქრებაც გვმართებს.''

და რას წერდნენ გრიგოლ ორბელიანის მგზავრობაზე'' ?

მოდით, ამასაც გადავხედოთ.

მეტად საინტერესო ამბავს გვთავაზობს, დიდი პავლე ინგოროყვა, დაბადებული ქ. ფოთში და მაინც, ეჭვი არ მეპარება, ჩვენებური, ანუ, გურული!

მაშ ასე, ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ კოლექციაში 1940 წლის ჟურნალ



,,მნათობის'' მე-2 ნომერს ვპოულობ, 85-3 გვერდზე ,,ვსქროლავ'' და ვკითხულობ:

***,, პავლე ინგოროყვა***

*გრიგოლ ორბელიანის «მგზავრობა»*

გრიგოლ ორბელიანის უცნობი ნაწარმოები «მგზავრობა», რომლის სრულს დედანს პირველად ვაქვეყნებთ, დაკავშირებულია 1832 წლის შეთქმულობის ხანასთან.

ამ ნაწარმოებმა ასი წლის ტყვეობა განიცადა.

თავგადასავალი ამ ნაწარმოებისა ასეთია.

1832 წელს, როგორც ცნობილია, მიმდინარეობდა განსაკუთრებით გაცხოველებული მუშაობა ფარული საზოგადოებისა, რომელიც «საიდუმლო მეგობრობის» სახელით არის ცნობილი, და რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 20-იან წლების ბოლოდან აჯანყებას ამზადებდა საქართველოში ცარისტული რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. გრიგოლ ორბელიანი გახდა წევრი შეთქმულთა ამ ფარული საზოგადოებისა 1831 წლის დასაწყისიდან.

როდესაც შეთქმულობა 1832 წლის 9 დეკემბერს გასცა იასე ფალავანდიშვილმა, გრიგოლ ორბელიანი არ იმყოფებოდა საქართველოში, იგი რუსეთში იყო, ჯარში, ნოვგოროდის გუბერნიაში. გრიგოლ ორბელიანი რუსეთში დაატუსაღა ნიკოლოზ I-ის მთავრობამ 1833 წლის 11 მარტს. გრიგოლ ორბელიანი ჯერ დატყვევებული ჰყავდათ პეტერბურგში (სადაც ის ჩაიყვანეს ნოვგოროდის გუბერნიიდან), ხოლო შემდეგ პეტერბურგიდან გრიგოლ ორბელიანი გადმოგზავნეს საქართველოში, ტფილისში. აქ, ტფილისში, გრიგოლ ორბელიანი განმარტოებით იყო დატუსაღებული ავლაბრის ყაზარმებში 1833 წლის სექტემბრამდე, ვიდრე დასრულდებოდა საქმის გამოძიება.

იცოდა თუ არა გრიგოლ ორბელიანმა შეთქმულობის გაცემა, როდესაც იგი პირველად დაატყვევეს? შესაძლებელია იცოდა, მაგრამ ის კი არ ჰქონია ჯერ დაბეჯითებით გაგებული, რომ თვითონ პირადად გაცემული იყო. ყოველ შემთხვევაში გრ. ორბელიანი მოუმზადებელი დახვედრია ჟანდარმის პოლკოვნიკის პირველ გამოცხადებას მის ბინაზე. გრ. ორბელიანს ვერ მოუსწრია ხელნაწერების გადამალვა. ხოლო ამ ხელნაწერებში კი ძალიან ბევრი იყო ისეთი, რაც ამჟღავნებდა გრიგოლ ორბელიანის უახლოეს კავშირს შეთქმულობასთან. — მთავრობის აგენტებს, გრიგოლ ორბელიანის დატყვევების დროს, წამოუღიათ პოეტის ყველა ხელნაწერები და მთელი მისი მიწერმოწერა.''

მოდით, დანარჩენი სხვა დროს იყოს!

მათ შორის ბატონ იუზასთან მე და ჩემი მეგობრის, ამჟამად თბილისის სახელმწიფო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის ახალი ხელმძღვანელის, **კახაბერ რუსიძის** სტუმრობის ამბავიც.

**გიო კილაძე**

# მსოფლიო ქამარი ჩვენია!



ქ. ბათუმში მკლავჭიდში მსოფლიო ქამარი გაიმართა.

შეჯიბრში არაერთი ქვეყანა და სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა მკლავჭიდის სექციის სპორტსმენმა **დავით თენიეშვილმა** წარმატებით იასპარეზა და მსოფლიო ქამარი მოიპოვა!

მწვრთნელი – გიორგი რუსიეშვილი.

# ლაზარე ჩხარტიშვილის მორიგი წარმატება



თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა „ჩემპიონთა თასი (ღია B)-2024“ ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც მაღალ რეიტინგიან და გამოცდილ მოჭადრაკეებთან ერთად ასპარეზობდა 10 წლის ოზურგეთელი **ლაზარე ჩხარტიშვილი.** მან 9 პარტიაში 5,5 ქულა(!) დააგროვა და 56,5 ერთეულით გააუმჯობესა საკუთარი საერთაშორისო რეიტინგი. ამ შედეგით თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი მზადაა წარმატებით იასპარეზოს მსოფლიო მსოფლ-იო პირველობაზე, რომელიც ნოემბერში იტალიაში გაიმართება.

## ხსოვნა

# კლიმენტი ღლონტი



გარდაიცვალა **კლიმენტი ღლონტი.**

იგი დაიბადა 1950 წლის 16 ნოემბერს, ქ. ოზურგეთში. დაამთავრა ქ. ოზურგეთის №3 საშუალო სკოლა. სწავლა გააგრძელა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ელექტროფიკაციის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ოზურგეთის ჩაის ფაბრიკების გაერთიანებაში უფროს ელექტრო ინჟინრად, საიდანაც პარტიის რაიონულ კომიტეტში ინსტრუქტორად გადაიყვანეს.

წლების განმავლობაში იყო გურიის ენერგოზედამხედველობის უფროსი. საუკეთესო მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა დიპლომები, სიგელები.

უდიდესი მადლიერებით უნდა აღინიშნოს კლიმენტი ღლონტის მაღალი ადამიანური თვისებები. იყო თბილი, ყურადღებიანი, კარგი თამადა, ჰქონდა საუცხოო იუმორი, ჰყავდა შესანიშნავი ოჯახი.

წავიდა ჩვენგან კეთილშობილი, პატიოსანი ადამიანი. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი, კაცთმოყვარე სული და სიმშვიდე მოგვაროს სასუფეველში.

**მეგობრები**

# სამგლოვიარო განცხადება

ანასეულის საშუალო სკოლის 1959 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის **თინა ვალოდის ასული სურგულაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

# სკანვორდი



- არგენტინელი ფეხბურთელი
- წიაღისეულის მოპოვების ადგილი
- სასაზღვრო ადგილი საქართველოში
- გურული ცეკვა
- მუსლიმი ქალის თავსაბურავი
- ეკონომიკური საქმიანობის განსაკუთრებული უფლება
- ფეხსაცმლის მკერავი
- უდაბნო
- საჩოგბურთო ტურნირი
- ტანისამოსის ბრენდი
- ქვის ჭურჭელი
- აზიური ღვთაება
- ქართული ფოლკლორული გუნდი
- უმართაობა საზოგადოებაში
- სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში
- სხვა სახელმწიფოზე დამოკიდებული
- სასიკვდილო სამკუთხედი
- გემო
- თოფის
- დაკისრებული გადასახადი
- ქალაქი სახელმწიფო
- მეგრული კერძი
- ქართული ფილმი
- არქტიკული ცხოველი
- ესპანური საფეხბურთო გუნდი
- უსარგებლო ბალახი

## პასუხები:

სურათზე: სალვადორ დალი; საჩოგბურთო ტურნირი –უიბლდონი; არგენტინელი ფეხბურთელი –ლაუტარო; უმართაობა საზოგადოებაში –ანარქია; უდაბნო–საჰარა; სასარგებლო წიაღისეულის –შახტი; სასიკვდილო სამკუთხედი –ბერმუნდი; ქართული ფოლკლორული ანსამბლი –ერისიონი; სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში –ბრაზილია; აზიური ფეხსაცმლის მკერავი –ხარაზი; სხვა სახელმწიფოზე დამოკიდებული –ვასალი; გურული ცეკვა –ფარცა; სასაზღვრო პუნქტი საქართველოში –სარფი; ტანისამოსის ბრენდი –პრადა; მუსლიმი ქალის თავსაბურავი –ჩადრი; თოფის - კონდახი; ეკონომიკური საქმიანობის განსაკუთრებული უფლება –მონოპოლია; უსარგებლო ბალახი –სარეველა; დაკისრებული გადასახადი –ხარკი; ქალაქ სახელმწიფო –სინგაპური; ესპანური საფეხბურთო გუნდი –ალმერია; გემო -არომატი; არქტიკული ცხოველი –სელაპი; აზიური ღვთაება –ბუდა; ქართული ფილმი –ლონდრე; ქვის ჭურჭელი –კეცი; მეგრული კერძი –ხარჩო.

# რევოლუციის დამარცხება

## რუსული კოლონიზაციის ახალი ეტაპი და მისი პერსპექტივები

დასაწყისი „ალიონი“ № 5-9. 11-13




*5. კოლონისტების მიერ მეურნეობის გამართვას ხელს უშლიდა წყლით მომარაგება, ასევე – სარწყავი წყლის არარსებობა. რუსი კოლონისტების უკან დაბრუნების უმთავრესი მიზეზი სწორედეს უკანასკნელი ფაქტორი იყო;*

*6. შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან (აფხაზეთიდან –ვ. გ.) რუსი კოლონისტები გარბოდნენ იმის გამოც, რომ ბორბლიანი ტრანსპორტის გადაადგილებისათვის საჭირო გზები აქ არ არსებობდა. გზების უქონლობის გამო კოლონისტები ვერ უკავშირდებოდნენ არა მარტო ადგილობრივ სოფლებს, არამედ –რუსი კოლონისტების დასახლებებსაც კი;*

*7. ყოველივე ამას ემატებოდა რუსეთის ცენტრალური გუბერნი-ებიდან გადმოსახლებულთათვის უჩვეულო კლიმატური პირობები, ბევრ ადგალას გავრცელებული მალარია, რომელიც ხოცავდა არა მარტო ადამიანებს, არამედ შინაურ ცხოველებსაც.*

ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო XX საუკუნის დამდეგის ჩათვლით კავკასიაში ჩასახლებული კოლონისტები ისევ რუსეთის შიდა გუბერნიებში ბრუნდებოდნენ. კოლონისტებმა დატოვეს ელისავეტოპოლის, ბაქოს, თბილისისა და შავი ზღვის გუბერნიები, დაღესტნის ოლქი. თბილისის გუბერნიიდან კოლონისტები გარბოდნენ თათრების მხრიდან მუდმივი მტრობისა და მალარიის გამო, თუმცა აქ მიწა ნაყოფიერი და სარწყავითაც უზრუნველყოფილი იყო. ხოლო თბილისის გუბერნიის მიხაილოვსკოესა და ალექსეევკას კოლონიებიდან კოლონისტები მალარიით დაავადების შიშითა და მეურნეობის გამართვასთან დაკავშირებული სირთულეების გამო გაიქცნენ.

**4.კოლონიზაციის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები.**კოლონიზაციის პროცესის სათანადოდ უზრუნველყოფის მიზნით 1907 წელს გარდაიქმნა კოლონისტებისათვის ადგილების გამოყოფის პროცესის ხელმძღვანელი ორგანოს მუშაობა. გატარებული ღონისძიების შედეგად, ისე, რომ ხარჯები და მოხელეთა შტატები არ გაზრდილა, კოლონისტთა ჩასახლების პროცესის გაუმჯობესებისათვის მრავალი ღონისძიება გატარდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ კოლონიზაციის პროცესს ჩამოაშორეს ადგილობრივი ადმინისტრაცია და პოლიცია. მიწის სიმცირის გამო ადგილობრივ მოსახლეობასა და კოლონისტებს, ახალჩასახლებულ და ძველ კოლონისტებს შორის დაწყებულ დაპირისპირებებს ადმინისტრაცია და პოლიცია კი აღარ წყვეტდა, არამედ ის სპეციალური სამსახური, რომელსაც ჩასახლების მთელი პროცესი დაექვემდებარა. გატარებულმა ღონისძიებებმა პირველი შედეგები გამოიღო. თბილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრაში ჭიაურის ტყის მიდამოებში ახლად ჩასახლებულ კოლონისტებს მიწა ადრე შექმნილი რუსული კოლონიების – „ნოვო მიხაილოვკისა“ და „ლაგოდეხის“– რუსულ მოსახლეობასთან შეთანხმებით გამოუყვეს. ასევე გაითვალისწინეს ადგილობრივი უმიწო 80 კომლის ინტერესები.

**5. კოლონიზაციის პროცესის კრედიტით უზრუნველყოფა.** რუსი კოლონისტებისათვის მხოლოდ მიწის გამოყოფა ვერ უზრუნველყოფდა კავკასიის კოლონიზაციის წარმატებას. კოლონისტთა კომლები რომ გამოყოფილ მიწაზე დამკვიდრებულიყვნენ, ამისათვის სერიოზული ფულადი დახმარება იყო საჭირო. კავკასიის მეფისნაცვალი აღნიშნავს, რომ მხოლოდ გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე, 1907 წლისათვის აუცილებელი იყო1.115.000 მანეთის გამოყოფა. თუ ისიც იქნებოდა გათვალისწინებული, რომ, გარდა გადაუდებელი საჭიროებისა, კიდევ სხვა სახსრების მოძიება იყო აუცილებელი, მაშინ მთლიანი თანხა დაახლოებით სამჯერ უნდა გაზრდილიყო.

გადაუდებელი საჭიროებისათვის გამიზნული თანხა უნდა დახარჯულიყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების მოსაგვარებლად, როგორებიც იყო: კოლონისტთა ჩასახლების ადგილებამდე გზების მიყვანა, სარწყავი და ჭაობების დასაშრობი სისტემის გამართვა, სანიტარული ღონისძიებების გატარება და სხვ. საქმეს ართულებდა ის, რომ ზემოთ აღნიშნული ყველა პრობლემა ერთდროულად უნდა გადაჭრილიყო. მაგალითად: კოლონისტებისათვის ბარაკების აგებას, რომლებშიაც მათ სახლების აშენებამდე უნდა ეცხოვრათ, აზრი არ ჰქონდა, თუ გაყვანილი არ იქნებოდა გზები, თუ არ იქნებოდა სასმელად ვარგისი წყალი, სარწყავი და ჭაობების დასაშრობი სისტემა, სანიტარული სამსახურის ორგანიზება და სხვ. თუ ყოველივე ეს არ მოგვარდებოდა, მაშინ კოლონისტებისათვის სახლების აგებასაც აზრი არ ჰქონდა, რადგან ისინი, სულ ერთია, ადგილზე ვერ დამაგრდებოდნენ და გამოყოფილ მიწასაც და აგებულ საცხოვრებელ სახლებსაც მიატოვებდნენ. გზების გაყვანის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ტყის მასივების გაჭრა და აუცილებელი მასალის გამოტანა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ აფხაზეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, ჩასახლებული რუსი კოლონისტები. აქ უგზოობის გამო წარმოუდგენელი იყო დაჭაობებული ადგილების სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად მომზადება, შეუძლებელი გახდა ხილის ბაღების გაშენებაც კი. არადა, სახსრების სიმცირის გამო გზების მშენებლობა ფერხდებოდა წინათაც და ფერხდება დღესაც. უგზოობის გამო კოლონისტებმა მათთვის გამოყოფილი მიწები მიატოვეს და ახალი ადგილების ძებნას შეუდგნენ. ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავს: უგზოობამ ისე სერიოზულად შეაფერხა კოლონიზაციის პროცესი, რომ იძულებული გავხდი გზების ასაგებად 274.000 მანეთი მომეთხოვაო. ამ თანხიდან 242.000 მანეთი (89%) შავი ზღვის სანაპირო ზოლში გზების მშენებლობაზე უნდა დახარჯულიყო. რუსეთის მთავრობამ მეფისნაცვლის თხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა,მის მიერ მოთხოვნილი 274.000 მანეთის ნაცვლად მხოლოდ 90.000 მანეთი გამოუყო. კავკასიის მეფისნაცვალი კიდევ ერთხელ საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლში გზების მშენებლობას კოლონიზაციის პროცესისათვის გაცილებით დიდი მნიშნელობა ჰქონდა, ვიდრე გზების მშენებლობას სტეპის ან ტყის ზონაში. დიდ სირთულეებსა და თანხასთან იყო დაკავშირებული გზების გაყვანა სამხრეთ კავკასიონის ზეგანზე (ყარსის ოლქში).

ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორს მოახსენებდა, რომ კავკასიაში კოლონიზაციის პროცესის წარმატება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებული იყო შავი ზღვის გუბერნიისა და ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოკრუგში (აფხაზეთში) კოლონისტებისათვის გამოყოფილი 94-.000 დესეტინის ათვისებაზე. შავი ზღვის სანაპირო ზოლში კოლონიზაციისათვის განკუთვნილი ამ ტერიტორიიდან 1907 წლის დამდეგისათვის რუსი კოლონისტების მიერ მთლიანად იყო ათვისებული 32,5%, ნახევრად– 21%, ტერიტორიის 18%-ის ათვისება გზების უქონლობის გამო შეფერხდა და საწყის სტადიაზე იყო, ხოლო ტერიტორიის 28%-ის ათვისება გზების უქონლობის გამო არც კი დაწყებულიყო. არსებობდა იმის საჭიროება, რომ კოლონისტების მიერ აუთვისებელ ტერიტორიას ადგილობრივი მოსახლეობა ან უცხო სახელმწიფოებიდან (პირველ რიგში, იგულისხმებოდა ოსმალეთი – ვ. გ.) მოსულები დაიკავებდნენ.

**ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი** თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში ნიკოლაი II-ის წინაშე პირდაპირ აყენებდა საკითხს: შავი ზღვის სანაპირო ზოლში რუსი კოლონისტების ჩასახლება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმეა, ხოლო ამ ტერიტორიის ათვისება პირდაპირაა დაკავშირებული გზების მშენებლობასთან. მეფისნაცვალი წერდა, რომ 1907 წელს გზების მშენებლობისათვის საჭირო იყო 206.000 მანეთი. აღნიშნული თანხიდან 50% უნდა მოხმარებოდა კოლონისტებისათვის გამოყოფილი მიწის საცხოვრებლად და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მომზადებას, პირველ რიგში, ჭაობების დაშრობას და სასმელი წყლით უზრუნველყოფას. სასმელი წყლის უქონლობა მძიმე მდგომარეობაში აგდებდა კოლონისტებს. მაგალითად: ბაქოს გუბერნიაში არსებულ რუსი კოლონისტების დასახლებებში სასმელ წყალს კასრებით 20 ვერსის სიშორიდან ეზიდებოდნენ. კოლონისტები ხშირად წყალს ჭაობის დასაშრობი თხრილებიდან იღებდნენ, რაც მალარიით დაავადებას იწვევდა. სასმელი წყლის პრობლემა, ბაქოს გუბერნიის გარდა, მწვავედ იდგა ელისავეტოპოლისა და თბილისის გუბერნიებში, ასევე ყარსის ოლქში. 1907 წლისათვის მოთხოვნილი 206.000 მანეთიდან სასმელი წყლის მომარაგების გაუმჯობესების საქმეს 55.000 მანეთი უნდა მოხმარებოდა, თუმცა ამით პრობლემა მაინც სანახევროდ გადაიჭრებოდა.

დიდ ფულად სახსრებს ითხოვდა დაჭაობებული ადგილების საცხოვრებლად და სასოფლო-სამეურნეოდ მომზადება. ასეთი ადგილები იყო: თბილისის გუბერნიაში (მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მდინარე ალაზნის შესართავიდან აღმოსავლეთით), ელისავეტოპოლის გუბერნიის ჩრდილოეთ ნაწილში და ბაქოს გუბერნიის ერთ მაზრაში. ამ ტერიტორიაზე ჭაობების დასაშრობად 25-0.000 მანეთი იყო საჭირო. კოლონისტებისათვის გამოყოფილი დაჭაობებული მიწები შეიძლებოდა ზამთრის საძოვრებად გამოყენებულიყო, თუმცა ეკონომიკური ეფექტი ძალზე დაბალი იქნებოდა: 1 კვადრატული დესეტინა მიწა 1 მანეთ შემოსავალს იძლეოდა. თუ ჭაობები დაშრებოდა და ამ ტერიტორიას სასოფლო-სამეურნეო კულტურების გასაშენებლად გამოიყენებდნენ, 1 კვადრატულ დესეტინაზე მიღებული შემოსავალი 50 მანეთს მიაღწევდა.

ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი კავკასიაში რუსეთის ბატონობის განმტკიც-ებისათვის კოლონიზაციის პროცესის წარმატებით განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად მიიჩნევდა კიდევ რამდენიმე საკითხს:

**1. საგადასახადო სისტემაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა.** კავკასიის მეფისნაცვალი მიიჩნევდა, რომ სამართლიანი იქნებოდა, მიწის ბეგარა მიწისაგან მიღებული შემოსავლის მიხედვით განსაზღვრულიყო. 1901 წლამდე მიწის ბეგარას მხოლოდ გლეხობა იხდიდა, ამასთან ერთად, იხდიდა კიდევ სხვა გადასახადებსაც. კავკასიაში მიწის ბეგარა და გლეხობისაგან აღებული სხვა გადასახადები წელიწადში 2.730.000 მანეთ შემოსავალს აძლევდა სახელმწიფოს. ამის გარდა, 2.840.000 მანეთი საერობო გადასახადებიდან შემოდიოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გლეხობა სხვადასხვა კატეგორიის 10.000.000 დესეტინა მიწით სარგებლობისათვის სახელმწიფოს, საერთო ჯამში, 5.570.000 მანეთს უხდიდა. მემამულეები და მიწის სხვა კერძო მესაკუთრეები (ძირითადად ვაჭრები), რომლებიც დაახლოებით 5.000.000 დესეტინა მიწას ფლობდნენ, სახელმწიფოს მიწის ბეგარას საერთოდ არ უხდიდნენ. ამრიგად, გლეხობა, რომელიც მემამულეებზე 2-ჯერ ნაკლებ მიწას ფლობდა, მიწის ბეგარის სახით 20-ჯერ მეტ გადასახადს იხდიდა. ამას ემატებოდა კიდევ სხვა გადასახადები როგორც ნატურით, ისე ფულით.

ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავს, რომ 1900 წლამდე რუსეთის იმპერიის მთავრობის პოლიტიკა კავკასიის პრივილეგირებული სოციალური ფენების, პირველ რიგში, ქართველი თავადაზნაურობის ინტერესების დაცვაზე იყო ორიენტირებული. ბატონყმობის გაუქმება საქართველოში თავადაზნაურობისათვის ხელსაყრელ, ხოლო გლეხობისათვის წამგებიან პირობებში მოხდა. მთავრობამ დაარღვია რუსეთში დაკანონებული ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი და ყოფილი საბატონო გლეხების ყმობისაგან განთავისუფლებისათვის ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების თავადაზნაურობას 1 სულ გლეხზე 25-დან 50 მანეთამდე გადაუხადა, რაც ცენტრალურ ხელისუფლებას 7.000.-000 მანეთი დაუჯდა. ხელისუფლების მხარდაჭერით საქართველოში დროებით ვალდებული გლეხებს მემამულეების მიმართ იმაზე უფრო მეტად მძიმე ვალდებულებების შესრულება უხდებოდათ, ვიდრე ყმა გლეხებს. 1901 წელს კავკასიაში მიწის დაბეგვრის რეფორმა გატარდა, რომლის მიზანს მართლზომიერი საგადასახადო სისტემის შემოღება წარმოადგენდა. დაბეგვრის ძველი წესი გაუქმდა და სხვადასხვა ნორმის ნაცვლად დაწესდა ორი ნორმა: 1. გლეხებისათვის, რომლებიც მუდმივად სარგებლობდნენ სახელმწიფო (სახაზინო) მიწით; 2. გლეხებისათვის, რომლებიც მუდმივად სარგებლობდნენ ყველა სხვა კატეგორიის მიწით. გარდა ამისა, საერობო გადასახადით უკვე მარტო გლეხობის მიწა კი არ იბეგრებოდა, არამედ – მემამულეებისა და სხვა კერძო მფლობელებისაც. რეფორმის შემდეგ კავკასიის გლეხობა სახელმწიფო მიწით სარგებლობისათვის ყოველწლიურად იხდიდა 3.426.000 მანეთს, ყველა სხვა კატეგორიის მიწის სარგებლობისათვის – 83.000 მანეთს, საერობო გადასახადის სახით – 1.970.-000 მანეთს. ეს იმას ნიშნავდა, რომ გლეხობა 10.000.000 კვადრატული დესეტინა მიწით სარგებლობისათვის და საერობო გადასახადის სახით სახელმწიფოს ყოველწლიურად 5.479-.000 მანეთს უხდიდა. მემამულეები და სხვა კერძო მესაკუთრეები მიწის სარგებლობისათვის 228.000 მანეთს, ხოლო საერობო გადასახადის სახით 769.000 მანეთს იხდიდნენ, ანუ გადასახადის საერთო წლიური რაოდენობა 5.000.000 კვადრატული დესეტინა მიწისათვის 997.000 მანეთს უდრიდა. მოხმობილი სტატისტიკური მასალა მოწმობს, რომ მიწის სარგებლობისათვის გლეხობის ყოველწლიური გადასახადი 779.000 მანეთით გაიზარდა, ხოლო საერობო გადასახადი 870.000 მანეთით შე-მცირდა, ანუ, საერთო ჯამში, გლეხობის ყოველწლიური გადასახადი დაახლოებით 100.000 მანეთით შემცირდა. სამაგიეროდ, თავადაზნაურობის მიწის დაბეგვრით სახელმწიფოს 723.000 მანეთი უნდა მიეღო. მიუხედავად თავადაზნაურობის მფლობელობაში არსებული მიწის დაბეგვრისა, თბილისისა და ქუთაისის თავადაზნაურობის მიმართ რუსეთის იმპერიის მთავრობა კვლავ დათმობაზე წავიდა და საგადასახადო რეფორმის შემდეგ 3 წლის განმავლობაში ქართველი თავადაზნაურობა მიწის დაბეგვრისაგან გაათავისუფლა. შემდეგ სამწლიანი ვადა კიდევ 3 წლით გაგრძელდა, გარდა ამისა, თავადაზნაურობას წლების განმავლობაში დაგროვილი საერო გადასახადი საერთოდ ჩამოაწერეს. ვორონცოვ-დაშკოვის უქვეშევრდომილესი მოხსენებიდან აშკარად ჩანს, რომ კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის უმაღლესი მოხელე საგადასახადო სისტემის რეფორმას პროგრესულად მიიჩნევს, მაგრამ ქართველი თავადაზნაურობის მიმართ გაწეულ შეღავათებს არ მიესალმება.

**ვახტანგ გურული**

საქართველოს ახალი ისტორია
(წიგნი 3. გვ. 584-586)

**გაგრძელება იქნება**

# „ჟუბიეს ერთი დღე“– კინოფესტივალ „დიოგენე 2024“ გამარჯვებული



**ალიონი.** 30 სექტემბერს მწერალთა სახლში თბილისის მოკლემეტრჟიანი ფილმების ინტერნეტ-კინოფესტივალ „დიოგენე 2024“ - ის დაჯილდოებისა და დახურვის ცერემონია ჩატარდა.

წლევანდელ ფესტივალს გამოარჩევდა ის ფაქტი, რომ საქართველოს პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტთან შეთანხმებით, „დიოგენე“ თავისი საკონკურსო ფილმებით მე-16 დაწესებულებაში შევიდა. ჩამოყალიბდა მსჯავდებულებისგან დაკომპლექტებული „საზოგადოებრივი ჟიური“, რომელმაც შეარჩია საუკეთესო ფილმები და დაუწესა მათ შესაბამისი ჯილდოები და დიპლომები.

კინოფესტივალ „დიოგენე 2024“-ის საკონკურსო პროგრამის ფარგლებში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სულ 718 ფილმი იყო შემოსული, აქედან, ფინალურ ეტაპზე, ანუ ძირითად კონკურსში, მოხვდა 94 რჩეული ფილმი.

საქართველოს კინოაკადემიის მ-ერ დაწესდა სპეციალური დიპლომი, რომელიც გადაეცემა რეჟისორ **მერაბ ჩხაიძეს** და მის ფილმს „ჟუბიეს ერთი დღე“ (საქართველო), სადაც მთავარ როლს ოზურგეთელი **ირაკლი დოლიძე** ასრულებს.

ფილმი მოგვითხრობს დაუნის სინდრომის მქონე მარტოხელა ახალგაზრდაზე, რომელიც ახერხებს დამოუკიდებელ ცხოვრებას დედის დანატოვარი დარიგებებით.ფილმში ნაჩვენებია ამ ახალგაზრდა კაცის მხოლოდ ერთი დღე. გმირის სახელია ჯუბიერი. მისი დღეები ერთმანეთის მსგავსია და თითქმის ტყუპის ცალებივით გვანან ერთმანეთს. ჯუბიერი საოცრად კეთილგანწყობილი სულის მქონე ადამიანია. ყველაფერი იცის და მის გულში უსაზღვრო სიყვარული ბუდობს.

როგორც ირაკლი დოლიძე გვიყვება, ფილმი წელს ზამთრის პერიოდში გადაიღეს. ირაკლი ოზურგეთის თოჯინების და მოზარდ მაყურებლების თეტრის მსახიობია და კარგად გაართვა როლს თავი. ძალიან დიდ სიყვარულს გამოხატავს რეჟისორ მერაბ ჩხაიძის მიმართ. ამ ფილმის გამოსვლის შემდეგ იგი უფრო პოპულარული გახდა.

დიპლომი, რომელსაც საქართველოს კინოაკადემიის პრეზიდენტი **ნიკოლოზ აბრამიშვილი** აწერს ხელს, ირაკლი დოლიძეს ქ, თბილისში, მწერალთა სახლში დაჯილდოების ცერემონიალზე გადაეცა.



*„საქართველოს კინოაკადემიის დიპლომი გადაეცემა ირაკლი დოლიძეს კინოფესტივალში „დიოგენე 2024“ მონაწილე მერაბ ჩხაიძის ფილმში –„ჟუბიეს ერთი დღე“ შესრულებული როლისთვის, რითაც უა-მრავი მაყურებლის სიყვარული და სიმპატია დაიმსახურა.“*– აღნიშნულია დიპლომში.

თბილისის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ინტერნეტ-კინოფესტივალი „დიოგენე 2024“ წელს უკვე მეხუთედ ჩატარდა და მისი გენერალური დამფინანსებელია თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური. ფესტივალს პარტნიორობას უწევდა საქართველოს მწერალთა სახლი, ღონისძიების მუდმივი პარტნიორი კი საქართველოს კინოაკადემიაა. ფესტივალი მიზნად ისახავს და წარმატებით ახორციელებს მოკლემეტრაჟიანი ქართული და უცხოური კინოს პოპულარიზაციას.

# კეთილშობილი დაფნა (LAURUS NOBILIS)





მსოფლიოში არსებულ მრავალ მცენარეს შორის, დაფნა ერთ-ერთი უძველესი მცენარეა. მისი ფოთლები გამოირჩევა ამავე კულტურისთვის დამახასიათებ-ელი სპეციფიკური არომატით, რასაც განაპირობებს მასში დიდი რაოდენობით არსებული სურნელოვანი ნივთიერებები.

სწორედ ამის გამო, ის ფართოდ გამოიყენება კვების მრეწველობაში, პარფიუმერიაში. აღსანიშნავია მისი სამკურნალო თვისებები სხვადასხვა დაავადებების განსაკურნებლად, რის გამოც მან მედიცინაშიც დიდი აღიარება ჰპოვა. ამიტომაც სრ-ულიად საფუძვლიანად შეგვიძლია ის ერთ-ერთ წამყვან კულტურად დავსახელოთ.

**დაფნის ზოგადი დახასიათება:**

კეთილშობილი დაფნა LAURACEAE-ს ოჯახსა და LAURUS-ის გვარს ეკუთვნის. მისი სახელწოდება ლათინურად ასე გამოთქმის (LAURUS NOBILIS).

დაფნა მარადმწვანე მცენარეა, მისი სწორად მოვლა-პატრონობის შემთხვევაში ის 6-დან 16 მ-მდე სიმაღლის იზრდება, მაგრამ რადგან ეს მცენარე გასხვლას კარგად იტანს მას დეკორატიულ მცენარეთა რიცხვს მიკუთვნებენ. მისი ფოთლის სიცოცხლისუნარიანობა 8-9 წელიწადს აღწევს. ძველი ფოთლების ჩამოცვენის შემდგომ ის ახალი ფოთლებით იფარება. მცენარე ყვავილობას 6-8 წლის ასაკიდან იწყებს და ყვავილობის ხანგრძლივობა ეკოლოგიურ პირობებთანაა დაკავშირებული. მცენარეს ახასიათებს ძლიერ დატოტვილი ფუნჯა ფესვი, რის გამოც ის ნიადაგში საკმაოდ ღრმად ვრცელდება.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით დაფნა ხმელთაშუა ზღვის ფლორას ეკუთვნის. ის სითბოსა და ტენის მოყვარული მცენარეა და სწორედ ამიტომ საქართველოში მისი ზრდა განვითარება უფრო სწრაფად მიმდინარეობს ვიდრე თავის სამშობლოში. მცენარე ამტანია არახელსაყრელი პირობების მიმართ, როგორებიცაა: გვალვა და დაბალი 100-120 ტემპერატურა.

**დაფნის გავრცელება საქართველოში:**

საქართველოში დაფნის გავ-რცელების მრავალი ვერსია არსებობს, მაგრამ ერთ-ერთი ვერსიის თანახმად ეს უკავშ-ირდება ბერძენი კოლორიზატორების კავშირს ბიზანტიის იმპერიასთან, საიდანაც მათ თესლი შემოჰქონდათ.

დღესდღეისობით დაფნის ნარგაობების რიცხვით საქართველოს რეგიონებიდან პირველ ადგილს სამეგრელო იკავებს. კერძოდ: ხობის, ზუგდიდის და სენაკის მუნიციპალიტეტები. ისტორიული დასაბუთებით ამ რაიონებში საბჭოთა კავშირის დროს ფართოდ იყო გავრცელებული დაფნის მასიური მეურნეობები. ეკონომიკის განვითარების მხრივ კი ეს მეურნეობები ძალზედ დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის წინსვლის საქმეში, ამიტომაც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დაფნის კულტურის ახალ რაიონებში გადაადგილებას, რადგან კოლხეთის დაბლობი წარმოადგენს სუბტროპიკული კულტურების განვითარების მნიშვნელოვან ბაზას.

რომელი მინერალური ნივთიერებებისადმი აქვს დაფნას განსაკუთრებული მოთხოვნილება?

დაფნის კულტურა სხვა სუბტროპიკულ კულტურებთან შედარებით დიდი ისტორია აქვს ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ მის ფართო გამოყენებასა და დამუშავებას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა მანამ სანამ ანასეულის ჩაის და სუბტროპიკული კულტურების კვლევითმა ინსტიტუტმა არ დაიწყო აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა.

პროფესორ მექი ბზიავას დასაბუთებით წი-თელმიწა ნიადაგების პირობებში, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მრავლადაა ახალგაზრდა ჩაის პლანტაციაში K-ის ეფექტიანობა ნაკლებადაა გამომჟღავნებული, განსხვავებით დაფნისგან. დაფნის მიმართ შეიმჩნეოდა განსხვავებული სურათი. K-ის მოქმედება კულტურის 4-5 წლის მცენარეში იგი უკვე შესამჩნევია და ის ასაკის და მიხედვით იზრდება. რაც კიდევ უფრო ადასტურებს იმ აზრს, რომ დაფნის მოთხოვნილება კალიუმიანი სასუქების მიმართ დიდია. მისივე მონაცემებით მინერალური და ორგანული სასუქების ერთობლივი გამოყენება, გაცილებით დიდ შედეგს იძლევა ვიდრე მათი მცენარისთვის ცალ-ცალკე მიწოდება.

ხშირად ისმის ფერმერებისგან კითხვა თუ რომელი სასუქი უნდა შევიტანოთ დაფნის პლანტაციაში, ჩვენივე მონაცემებზე დაყრდნობით თამამდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისეთი სასუქების შეტანა რომლის შემადგენლობაშიც შედის K , მაღალ შედეგს იძლევა, რის შემდეგაც დაფნის მცენარეს უძლიერდება იმუნური სისტემა, ის გამძლეა სხვადასხვა მავნებელ-დაავადებების მიმართ და მასში ყველა ფიზიოლოგიური პროცესი მიმდინარეობს მისთვის დამახასიათებლად. ასევე იზრდება მისი ფოთლის ხარისხი და სიჯანსაღე.

**დაფნის მცენარე და წყლის რეჟიმი:**

სასოფლო-სამეურნეო კულტურებში პროდუქციის ხარისხის და მოსავლიანობის გაზრდა დიდადაა დამოკიდებული მათი წყლით უზრუნველყოფაზე. როგორც ცნობილია მცენარის ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური პროცესები, მისი ნორმალური ზრდა განვითარება დამოკიდებულია უჯრედში წყლის გარკვეული რაოდენობის არსებობაზე. დამტკიცებულია, რომ დაფნის მცენარეში 53-63 პროცენტი წყლის დაკარგვის შემთხვევაში ფოტოსინთეზის ენერგია თითქმის ნულამდე ეცემა, რაც მცენარის დაღუპვას გამოიწვევს. იმიტომ, რომ წყლის დაკარგვის დროს მცენარის ფოთლებში ადგილი აქვს ტურგორის შესუსტებას, ფოთლების ჭკნობას, იკეტება ბაგეები რის შემდეგაც ფოტოსინთეზის ინტენსივობა ქვეითდება.

დადგენილია, რომ დაფნაში და არამარტო დაფნაში, სხვა მცენარეებში სასუქების შეტანა ძალზედ აუმჯობესებს წყლის რეჟიმს. პირველ რიგში ის აძლიერებს ფესვთა სისტემის მიერ წყლის შთანთქმის პროცესს. განსაკუთრებულ როლს ყოველივე ამაში აზოტოვანი, ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქები ასრულებენ, ამიტომაც დაფნის კულტურაში კომპლექსური სასუქების გამოყენება სხვა პროცესებთან ერთად წყლის რეჟიმის დარეგულირებასაც მოახდენს, მაგრამ აუცილებელია დავიცვათ როგორც სასუქების შეტანის ასევე წყლის მიწოდების დოზები, რადგან მოჭარბებული ტენიანობის და სასუქების მაღალი დოზების მიწოდების შემთხვევაში ბრკოლდება ამცენარეთა ზრდის პროცესი.

საბოლოოდ მინდა ვთქვა , რომ კეთილშობილი დაფნის პლანტაციების აღორძინება და მისის მასიურად გადამუშავება ძალზედ დიდ როლს ითამაშებს ქვეყნის ეკონომიკის ზრდასადა განვითარებაში, რადგან გავიმეორებ, როგორც ზემოთ აღვნიშნე დაფნას საქართველოში დიდი ისტორია აქვს და მისი მოვლა-მოყვანისათვის ყველა პირობა კმაყოფილდება დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ტენიან კლიმატზე.

**გიორგი სალუქვაძე**

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების მეორე კურსის სტუდენტი.*

*შპს ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“ს თანამშრომელი.*


წვიმა +13+19
14 ოქტომბერი
ორშაბათი


წვიმა +11+17
15 ოქტომბერი
სამშაბათი


წვიმა +10+16
16 ოქტომბერი
ოთხშაბათი


წვიმა +8+14
17 ოქტომბერი
ხუთშაბათი


წვიმა +10+13
18 ოქტომბერი
პარასკევი


წვიმა +7+11
19 ოქტომბერი
შაბათი


წვიმა +5+10
20 ოქტომბერი
კვირა